



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/175

„ 16 „ ნოემბერი 2015 წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ზოგიერთი ქმედების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „დ1“ ქვეპუნქტების საფუძველზე, თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს:

ა) საერთო სასამართლოების 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებში არსებული რესურსი გამოიყენოს მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში საერთო სასამართლოების აპარატის მოსამსახურეთა მატერიალური წახალისებისათვის;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის და საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური განწერის კორექტირება თანდართული სახით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

ცვლილება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის და საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების კვარტალურ განწერაში

/თანხა ლარებში/

კოდი	ორგანიზაციის, პროგრამის ან ღონისძიების დასახელება	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის დასახელება	ცვლილება- (+ზრდა, / -კლება)				
			წლიური თანხა	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
090101	საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	შრომის ანაზღაურება	40000				40000
		საქონელი და მომსახურება	9000				9000
090102	საერთო სასამართლოები	შრომის ანაზღაურება	-40,000				-40000
		საქონელი და მომსახურება	-9000				-9000
სულ ჯამი			0	0	0	0	0